სახალხო გაზეთი

№ 1118 სამშაბათი, 18 თებერვალი 1914 წ. № 1118

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერ.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1914 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **სამი წიგნი**

პირველი წიგნი: „ქართველი მწერლები“, რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1) „უგვირგვინო მეფენი“, ისტორ. დრამა 5-მოქ. სანდ. შანშიაშვილისა. 2) „მიმქრალი შარავანდედი“, ისტორ. რომანი ვ. ბარნოვისა და სხვ.

მეორე წიგნი: „უცხოეთის მწერლები“, რომელშიაც დაიბეჭდება: „დონ-კარლოსი“, ტრაგედია შილლერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი: „სამეცნიერო კრებული“, ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი წლიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8. 50	8.	7. 50	6. 75	6	5. 25	4. 50	3. 75	3	2. 25	1. 50	75.

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 50 კაპ.

ადრესის გამოცვლის ფასი ტფილისისა ტფილისის გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

სამი აბაზი უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც ჰსურს მიიღოს ფოსტით სამი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ **ნაწილობით**

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება: 1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში, სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში.

ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.

საბანკო კანტორა „ა. ფრიდონოვი და ამხ.“ ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ სამშაბათს, 18 თებერვალს, ამ ფირმის განსვენებულ თავის

ალექსანდრე თომას ძე ფრიდონოვის

დასაფლავების დღეს **საბანკო კანტორა ღია იქნება** ნაშუადღევის 1½—3½ საათამდე. 110

პარასკევს, 14 თებერვალს, შუადღის 12½ ს. გარდაიცვალა

ალექსანდრე თომას ძე ფრიდონოვი

რასაც ღრმა მწუხარებით იუწყებიან განსვენებულის **ასულნი: ნინო ალექსანდრეს ასული ტრახტენბერგისა და კნეინა ნადეჟდა ალექსანდრეს ასული შებუთინისა.** განსვენებულის ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან ([illegible] ქუჩა, 11) სამშაბათს, 18 თებერვალს, დილის 10 საათზე, მოღნისის წმ. გიორგის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე დღეს ხოჯივანქის სასაფლაოზე. 110

კვირას, 16 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა

იოსებ ივანეს ძე თურმანიძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარი **ანა გიორგის ასული, ხვთისონი, საშა, მარუსია, პელაგია და თამარ იოსების ძე და ასულნი თურმანიძენი, ანა ივანეს ასული ტიტვინიძისა, ივანე ნიკოლოზის ძე და მიხეილ გიორგის ძე ცაბაძენი,** პირველი ქმრისა, მეორენი—მამისა, მესამენი—ძმისა და უკანასკნელნი—სიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, საღამოს 7 საათზე, მიცვალებულის ცხედარს გამოასვენებენ ხვალ, 19 თებერვალს, დილის 10 საათზე (კახეთის ქუჩა, სახ. № 44), პეტრე-პავლეს ეკლესიაში, დასაფლავება იქვე. 108

საბანკო კანტორა „ა. ფრიდონოვი და ამხ.“ ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ ფირმის თავი

ალექსანდრე თომას ძე ფრიდონოვი.

განსვენებულის ცხედარს ბინიდან გამოასვენებენ დღეს, სამშაბათს, 18 თებერვალს, დილის 10 საათზე, მოღნისის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება ხოჯივანქის სასაფლაოზე. 110

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობორისა და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუჩნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

მინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან. ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით. სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა. **წამლობა „606“, „914“.** 1604

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აცხადებს

კლუბის წევრთა საყურადღებოდ,

რომ **მამასახლისთა, მათ კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და კანდიდატების ამოსარჩევი ფურცლები** შეუძლიანთ მიიღონ კლუბის შვეიცართან ყოველ დღე. წევრებმა ფურცლები უნდა შეავსონ **(გარკვევით უნდა ჩაიწერონ სახელი, მამის სახელი და გვარი კანდიდატისა)** კანდიდატების სიებით და შემდეგ ჩაუშვან განსაკუთრებით ამისათვის მომზადებულ ყუთში, კლუბის შესავალშივე, არა უგვიანეს თებერვლის 21 რიცხვისა. 1052

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. [illegible], ტერლანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ტფილისის კერძო სამკურნალო

[illegible] ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და [illegible] სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებ.:	**მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარქოზოვი მ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **[illegible]-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ სნეულებ. და ელექტ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ზონდელევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**[illegible] ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**ჯიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული, ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1436

ქუთაისში

კ. ოცხელისა და ამხ.

წიგნის მაღაზიის მიერ გამოიცემა

სამეცნიერო და სალიტერატურო კრებული

„ცხოვრება და მეცნიერება“

რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მხოლოდ უნივერსიტეტის თანამედროვე ძალები.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და ქუთაისში ყველა წიგნის მაღაზიაში. კრებული დაიბეჭდება მშვენიერ ქაღალდზე და დასურათებული იქნება. წინასწარ ხელის მოწერით ეღირება 1 მანეთად. 1064

კვირას, 23 თებერვალს, შუადღის 12 საათზე „ახალი კლუბის“ დარბაზში დანიშნულია **ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს წევრთა**

საზოგადო კრება

განსახილველია: 1) 1912—1913 წლ. ანგარიში გამგეობისა. 2) 1914 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) გამგეობის წევრთა არჩევა. 5) საზოგადოების წევრების მიღება.

საზოგადოების წევრებს წლიური ანგარიშის მიღება შეუძლიანთ წ.-კ. გამავრცელებელ საზოგ. მაღაზიაში. 109

დღეიდან

ვაგზლის სამკურნალოში

(ფოსტის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11½ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 11—12 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11½ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 1—2 ს.

მაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914“. 1023

ახალი კლუბი

სამშაბათს, 18 თებერვალს, თეატრში ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსების ლექტორი

ნ. ა. დუბროვსკი

წაიკითხავს ლექციას:

ეროვნული საკითხი დასავლეთ ევროპაში მე-19 საუკუნეში.

ადგილების ფასი: პარტერი 50 კ.—25 კ., გალერეა ყველასათვის ხელმისაწვდომია. სტუმრები იხდიან კლუბში შესვლისათვის კაცები 50 კ., ქალები 25 კ., სტუდენტები 25 კ. 1052

ახალი წიგნი

სილ. ივ. ხუნდაძის მიერ შედგენილი

ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო

პირველი წიგნაკი:

ნ. ბარათაშვილი, ფასი სამი შაური. 97

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

ჩვენი მწერლობა.

ეკალაძე ია. თხზულ. ტ. 1904 წ. 1 მ.,
ინგოროყვა პ. ძველი ქართ. სასულიერო პოეზ., ტ. 1913 წ. 2 მ.,
ლარიძე. დილარიანი, ტ. 1903 წ. 2 —
მირიანაშვილი პ. ამირანის ლექსები, ტფ. 1913 წ. . ფასი 30 კ.
მირიანაშვ. ალ. იგ.-არაკ ტ. 1912. 75 „
მაჩხანელი. მარო, დრ. . 1897 წ. 3 „
ნაკვესები, ტფ. 1904 წ. . . . 10 „
რაზიკაშვილი თ. ხალხური ზღაპ. ქართლში შეკრ. ტფ. 1909 წ. 75 „
იგივე კახეთში და ფშავში შეკრებილი, მისივე, . . . 75 „
რაზიკაშვილი ნიკო. დიაკვნიანი. ტ. 1902 წ. . . . . 20 „
რამიშვილი ტრ. ექიმი აშირბაჯიანი, პიესა 3 მ., ტფ. 1912. 20 ,
„ ცხოვრების ნაწყვეტი, დრ. 1 მოქ., ტფ. 1912 წ. . 15 „
რუსთაველი. ვეფხ. ტყაოს., ქართველიშვ. გამ. ტ. 1888 წ. 11—65 „
იგივე, წ.-კ. ს. გამ. ტ. 1903. 60 „
რუხაძე. ცისკარი, ლექს. 1904 წ. 25 „
საბა-სულხან ორბელიანი. სიბრძნე-სიცრუე, ტფ. 1902 წ. 50 „
სარგის თმოგველი. დილარიანი, ტფილ. 1897 წ. . . . 25 ,

მიღებულია გასასყიდად სურათები: ყაზბეგისა, მ. გურიელისა, ნინოშვილისა, კ. ყიფიანისა, ვაჟა-ფშაველასი, ერეკლე მეფისა, თითო სურ. 50 კ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. гр. нас.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.: ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ზ. ნ. მამაკიანი გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმთა საზოგადოების
სამკურნალო
მუდმივ საწოლებით.
(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.
ტელეფ. № 1026.
ავადმყოფების მიღება:
აგაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროტერაპია, 11—12 ს.-დე.
ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.
ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობა. 12—1 ს.
კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.
მამაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12 ნახევარ ს.
სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა, რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.
შეშხაპუნება „914“, „606“. 1040

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
ბელინკი. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბოიარსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
ვნუკოვი—ქირურგ. ავადმყ, ყოველ-დღე 11—12 ს.
შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
ახმეტოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კალმიკოვი. ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. ოთხულიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
ვეინბაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
სათვალების არჩევა.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თიქთიქაშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50.
1608

ბერლინის უნივერსიტეტის
მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს. სწამლობს ფილტვებისა—ბლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ბლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვ: სხეულ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 საათამდე, კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბებს** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე **უფასოდ.** ბებუთოვის ქ. 23. ტელეფ. 7—92. 1516

ექიმი გ. ჩუხილოშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი პავლე არდაზიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულობა. ავადმყოფებს მიიღებს დღის 12—2 ს. საღამოს 5—7 ს. ალექსანდრეს ქუჩა, № 3. 1022

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ. ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება. პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu.** იღებს დილ. 9—11 ს., სად. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1041

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 787.

ქ. გორში
(დოქტორანტი).
ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდ. 1571

ტფილისი, 18 თებერვალი

რაინდნი უშიშარნი და უებარნი.

ერთი ამბავი ჰხდება ჩვენს საზოგადოებაში; უცნაურია ეს ამბავი, მხოლოდ არა ჩვენთვის, არამედ განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ამ ამბავის, ამ ორონტრიალის აქტიურ მონაწილედ ითვლება. გადავათვალიერეთ უკანასკნელი დღეების გაზეთები: „სიმართლის ხმა“, „კლდე“, „თემი“, იქნება კიდევ სხვა რომელიმე გაზეთიც და თითქმის ყველა ამ გაზეთის წაკითხვამ დაგვიმტკიცა, რომ საქართველოს გასჩენია ერთი უსაშინელესი მტერი, რომელსაც უსათუოდ ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოეღოს; ეს მტერია „სახალხო გაზეთი“ და ყველა მისი იდეური თანამოაზრე: წერილების კილოც სულ სხვანაირია: ღვარძლიანი, გაბოროტებული, ისეთი, რანაირი კილოთიც ჩვეულებრივად ელაპარაკებიან ადამიანს, რომელიც თითქოს ვისმეს გზაში გასჩხერია და გასავალს არ აძლევსო. მაგრამ გარდა ამისა, ამ ნაწერებში, რომელთაც გასაოცარი ერთფეროვანი ხასიათი აქვთ, თუმცა სხვა და სხვანაირ ჯგუფებს ეკუთვნიან, ნათლად გამოსჭვივის მედიდურება. ეს მედიდურებაც განსაკუთრებული ხასიათისაა. იგი ჩვენ მოგვაგონებს მედიდურებას იმ ბავშვისას, რომელიც ახლად ახელს თვალებს, ახლად იწყებს აზრიან ცხოვრებას, მისი გონება ახალ-ახალ აღმოჩენას ახდენს და ჰგონია, რომ ეს აღმოჩენა მისი საკუთარია, მასზე ადრე სხვას ამის თაობაზე არ უფიქრიაო. სწორედ ასეთი მედიდური ყოყლოჩინობა გამოსჭვივის ჟურნალ „კლდის“ ყოველს სტრიქონში. როდესაც ჟურნალ „კლდის“ პოზიციას განსაკუთრებული წერილები ვუძღვენით, გვეგონა, რომ ამნაირის საშუალებით დადებითი პოლემიკის ასპარეზზე გამოვიწვევდით და ამით რამდენადმე მაინც გამოვარკვევდით, რანაირი თვისებისა და ხასიათისაა სადავო საკითხები. მაგრამ მოვსტყუვდით. პასუხად ყოველის მხრიდან მხოლოდ ღვარძლიანი წერილები მივიღეთ.

ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ ამ უცნაურ ამბებს და პრინციპიალურად განვიხილოთ, საიდან წარმოსდგება ასეთი იერიშები, რითი უნდა აიხსნას იგი და რანაირი შეიძლება იყოს ჩვენი დამოკიდებულება ამ იერიშებისადმი. როგორც ზევითაც ვსთქვით, ჩვენ არავითარ ყურადღებას არ მივაქცევთ ისეთს მარგალიტებს, როგორიცაა, მაგალითად, ნაადრევი სიხარული ჩვენი „გახრწნის“ შესახებ. ეს არგუმენტი არ გახლავს. ეს არც პრინციპიალური კამათია. ამისთანა არგუმენტებს ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპიროთ სათანადო არგუმენტი და ვთქვათ, თუ თქვენა გგონიათ, რომ ჩვენ ვიხრწნებით, ჩვენა გვგონია, რომ თქვენ დაუბადებლად, დედის მუცელშივე გახრწნილები ხართ. მაგრამ ჩვენ ამას არ ვიტყვით, რადგანაც ასეთი კამათი, უკეთესს შემთხვევაში მხოლოდ წყლის ნაყვა იქნებოდა. ვერც პოლემიკის ისეთს წესს მოვიწონებთ, რანაირსაც იმავ „კლდე“ში ვხვდებით. „სახალხო გაზეთს“ თავადები ინახავენ და მისი მეგობრები ყველგან თბილად მოკალათებულან“.—სწერს ჟურნალი „კლდე“. რასაკვირველია ვერც პოლემიკის ასეთს წესს მოვიწონებთ; ასეთი არგუმენტისთვის ჩვენც შეგვეძლო დაგვეპირისპირებინა მეორე არგუმენტი, არა ამაზე ნაკლები, რომ სწორედ ჟურნალ „კლდის“ თანამშრომელნი არ გაურბიან თბილ ადგილებს და მოიკალათებენ ხოლმე იქ, სადაც მხოლოდ თავადების შემწეობით მიუწვდებათ ხელი. მაგრამ ჩვენ ამას არ ვიტყვით, რადგანაც ასეთი წესი პოლემიკისა, პროდუქტი გულღვარძლიანობისა, ჩვენ არ გვესმის და ვერც გავიგებთ.

ამ მცირე „წინასიტყვაობის“ შემდეგ პირდაპირ საგანზე გადავალთ.

იმ დროს, როდესაც დასელები დაიბადნენ და თავიანთ მისწრაფებას კონკრეტული პოლიტიკური ელფერი მისცეს, საქართველოში არ მოიძებნებოდა არც ერთი ისეთი ჯგუფი, სხვა პოლიტიკურ ნიადაგზე რომ მდგარიყო და ამასთანავე ერთად დასელებსავით პროგრამულ ჩარჩოებში ჰქონოდათ მოქცეული თავიანთი მისწრაფება. იყვნენ ნაციონალისტები, იყვნენ უფრო რომანტიულად განწყობილი მამულიშვილნი, რომელნიც ძალიან ხშირად მთელს თავის ძალასა და ღონეს ქვეყნის სამსახურს ალევდნენ, მაგრამ რომელთაც ამასთანავე ერთად არა ჰქონდათ ნათლად გამორკვეული ეროვნული იდეალი და ამ იდეალთან შეთანხმებული სამოქალაქო პროგრამა.

დასელების სოციალიზმი სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ ქართველი ხალხისთვის, გარდა შინაური, სოციალური გარდაქმნისა, საჭიროა ეროვნული თავის დაცვა. ამ ცალ-მხრივობამ და ცხოვრების მოთხოვნილებამ დაჰბადა მეორე ჯგუფი, რომელმაც მოისურვა შეთანხმება ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური მისწრაფებისა. წარმოუდგენელია სოციალური სამართლიანობა, თუ არ არსებობს ერი და ამასთანავე ერთად წარმოუდგენელია ერი, თუ იგი მატარებელი არ არის სოციალური სამართლიანობისა. აი ეს იყო მთავარი მოსაზრება, რომელიც თავიდანვე დაუპირისპირდა დასელების ცალ-მხრივ სოციალიზმს.

ამ პოლიტიკურმა აზროვნებამ მალე პროგრესიული ხასიათი მიიღო და ეს ორ-გვარი, მაგრამ ორგანიულად შედუღებული მისწრაფება, განსაზღვრულ პოლიტიკურ ფორმულად იქცა. როგორც მოსალოდნელი იყო, მაშინვე დიდი პოლემიკა გაიმართა დასელებსა და ამ ახალ ჯგუფს შორის. ეს პოლემიკა დღესაც სწარმოებს, და, უეჭველია, არც მალე დასრულდება. იმდენად, რამდენადაც ახალი ჯგუფი ეროვნულ ნიადაგზე იდგა და დასელების ცალ-მხრივ პროგრამას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა, იგი თანაგრძნობას ჰპოულობდა ისეთ წრეშიაც, რომელიც პატრიოტულად იყო განწყობილი, მაგრამ იდეალი სოციალური სამართლიანობისა ჩალის ფასადაც არ უღირდა.

დადგა დრო დიფერენციაციისა და ეს ნაწილი საზოგადოებისა ცდილობს თავისი საკუთარი სახე გამონახოს, გამოსძებნოს ისეთი პოლიტიკური ფორმულა, რომელიც შეეფერება არა მარტო მის ეროვნულ მისწრაფებას, არამედ მის სოციალურ მდგომარეობასაც. რომ ადრე თუ გვიან ეს მოჰხდებოდა, ჩვენ არასოდეს ეჭვი არა გვქონია. მხოლოდ „კლდი“-ს ახლად გამოჩეკილ პუბლიცისტებს თუ ეგონებათ, რომ ახალი რამ აღმოაჩინეს. ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის ყოფილა და შემდეგში უფრო მეტი გაჩნდება ისეთი, რომლისთვისაც სოციალური სამართლიანობა, მართლაც, ისეთი რამ არის, რაც ყოვლად შეუძლებელია ეროვნულ მისწრაფებას შეუთანხმდეს. ეს ისეთი წრეა, რომელიც თავისი შინაგანი თვისებით ბურჟუაზიულ გულის ზრახვას აცხადებს და, როგორც ასეთი, თხოულობს ისეთს პროგრამას, რომელიც ბურჟუაზიულ აგრესიულ მიზნებს წინ დაბრკოლებად არ ეღობება.

ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ადრე თუ გვიან ამ თხუთმეტი წლის წინად დაბადებულ პოლიტიკურ ჯგუფს, დასელებს გარდა, მოწინააღმდეგებად გადაექცეოდნენ ისეთებიც, რომელნიც სოციალისტურ ნიადაგზე არ იდგნენ და მხოლოდ ძალა-უნებურად ეტმასნებოდნენ ამ ჯგუფს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ეროვნული იდეალების მატარებელი იყო. ასეც მოჰხდა. ის, რაც ჩვენთვის დღესავით ნათელი იყო, „კლდისთვის“ ზეციურ გამოცხადებად იქცა.

„კლდე“ ამ ნიადაგზე, რომ დამდგარიყო, თავისი თავი ეცნო, ან, უკედ რომა ვსთქვათ, ობიექტიურად შეეფასებინა ჩვენი საზოგადოების ამ ნაწილის მისწრაფებანი, მაშინ, როგორც თვით პოლემიკა, ისე პოლემიკის შედეგი სრულიად სხვანაირ სახეს მიიღებდა, მაგრამ „კლდემ“-მ აქედან არ დაიწყო, რადგანაც იგი იმ სიმაღლემდისაც ვერ მისულა, რომ ასეთი პრინციპიალური მსჯელობა მოახერხოს. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ამ ჯგუფის პროგრამა მავნებელია ქართველი ხალხისთვისაო. ახლად გაღვიძებული ქართველი ბურჟუაზიის მისწრაფება, ამ მისწრაფებით გამოწვეული უკმაყოფილება სოციალისტებისადმი ჟურნალმა „კლდე“-მ ერის პროგრამად დასახა და მასში ჰპოვა ის, რაც რომ თავის ისტორიულ განვითარების პროცესში უნდა განახორციელოს. მაგრამ, განა, ვისმესთვის საიდუმლოებას შეადგენს, რომ ბურჟუაზიის იდეალი შეუძლებელია ერის იდეალად იქცეს და ბურჟუაზიის პროგრამა — ერის პროგრამად? ეს შეიძლება ეგონოს მხოლოდ ჟურნალ „კლდეს“-ს, რომელსაც, როგორც ეტყობა, ბავშვური თავხედობა უფრო მეტი აქვს, ვიდრე უნარი, თუნდაც, ერის ბურჟუაზიული ნაწილის იდეიური ხელმძღვანელობისა. ბურჟუაზიის მისწრაფებაც შეიძლება კანონიერი იყოს, მაგრამ ამ მისწრაფების იდეურ დასასაბუთებლად საჭიროა ის, რაც ჟურნალ „კლდის“ ბუბლიცისტებს არცა აქვთ და არც ექნებათ—ობიექტიური დაფასება ყველა იმისა, რაც დღეს ჩვენს საზოგადოებაში ჰხდება და უპირველესად ყოვლისა კი თავისი საკუთარი თავისი ცნობა.

აქ შეგვეძლო წერტილი დაგვესვა; მაგრამ უებარ და უშიშარ რაინდთა სურათი სრული არ იქნებოდა, მხედველობიდან რომ გამოგვრჩენოდა ერთი ვინმე, რომელიც ვერ იქნა, თითონ ვერას გზით ვერ განიწმინდა და ჩვენ კი ყოველთვის განწმენდის თაობაზე გველაპარაკება. ბ-ნ გრ. დიასამიძის „თემზე“ მოგახსენებთ. ამ ორგანოს, დღიდან დაარსებისა, ერთი სნეულება დაჰყვა: ყველას განკურნებასა სცდილობს.

კეთილი განზრახვაა; მაგრამ არ გვგონია ვინმე ჩვენთაგანმა მისი რჩევა ყურადიღოს. „თემთან“ ხშირად გვქონია კამათი; ყოველთვის ასეთი კამათის დროს „თემს“ ხან ერთი თანამოაზრე გამოუცხადებია დასნეულებლად და ხან მეორე, ამა თუ იმ შემთხვევის გამო, ხან ერთს წასწვდებოდა ხოლმე, ხან მეორეს. ეს გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თუ არის ვინმე დასნეულებული, ისევ თვით „თემი“-ს ხელმძღვანელი, რომელსაც სჭირია განკურნება, მაგრამ არა ისეთი, რანაირსაც იგი ურჩევს „სახალხო გაზეთი“-ს თანამოაზრეებს.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სწორედ რომ გასაოცარია რუსეთის პოლიტიკის საქმე. გარკვევით არავინ იცის, რა გზას ადგანან სახელმწიფო მოღვაწენი და საით მიუძღვებიან ცხოვრებას. ამას წინად ხმები გავრცელდა, რომ რეაქციონურ ძალებს განუზრახავთ, სახელმწიფოს ბედი უკუღმა დატრიალონ, სათათბირო გააუქმონ, დეპუტატები დაითხოვონო და სხ. ეხლა კიდევ იმას ლაპარაკობენ, რომ გორემიკინმა განაცხადა: მინისტრებს შორის თანხმობას და სოლიდარობას დავამყარებ და საკანონმდებლო დაწესებულებთანაც შეთანხმებულად ვიმუშავებო.

გაზეთი **„რუს. ვედ.“** დიდის ეჭვით უცქერის ამგვარს განცხადებას და სწერს:

„წარსული რომ არ არსებობდეს და ეხლანდელი პრემიერი და მისი ამხანაგები ახალი კაცები იყვნენ, მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ ხსენებული განცხადებას რაიმე ღირებულობა აქვს და რუსეთში იწყება ახალი ხანა: ბიუროკრატია ურიგდება ქვეყანას და გადაჭრით იწყებს 17 ოქტომბრის მანიფესტის მიერ გამოცხადებულ რეფორმების განხორციელებას. მაგრამ წარსული არსებობს და გორემიკინის კაბინეტის მინისტრები ყველასათვის კარგად ცნობილი პირები არიან. ვინ დაიჯერებს, რომ ბ-ნნი შჩეგლოვიტოვი, კასსო, საბლერი და სხვა მინისტრები, გორემიკინის მიერ შეერთებულნი, განახორციელებენ ან ხელს შეუწყობენ სახელმწიფოსთვის აუცილებელს რეფორმებს? ვინ დაიჯერებს, რომ მოღვაწენი, რომლებიც აქამდის ზიზღით უცქერიან ხალხის წარმომადგენლებს, დღეს გულ-წრფელად ხელს გაუწოდებენ მათ, და მათთან ერთად იმუშავენ?

რუსეთის საზოგადოება მწარე გამოცდილებამ დიდი ხანია დაარწმუნა, რომ ბიუროკრატიისაგან არაფერს უნდა მოელოდეს. მან იცის, რომ რუსეთის განახლება მაშინ დაიწყება მხოლოდ, როცა საზოგადოებრივი თვითშეგნება სათავეში ჩაუდგება სახელმწიფოს საქმეებს“.

დასასრულ გაზეთი დასძენს, რომ გორემიკინს შეუძლია ცუდი გავლენა იქონიოს იმ მხრითაც, რომ მის განცხადებას დაენდობიან სათათბიროს ის ელემენტები, რომლებიც მუდამ რყევაში არიან და პრემიერის ცრუ-დაპირებით მოტყუებულნი კიდევ უფრო განამტკიცებენ ეხლანდელს წეს-წყობილებას. ქვეყანას ის ვითომდა რეფორმები კი არ ესაჭიროება, რომელთა განხორციელებას აპირებს გორემიკინი, არამედ მას სწყურია 17 ოქტომბრის მანიფესტის შესრულება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ტფ. პოლიცმეისტერი გენერალი ზასიპკინი** თანამდებობიდან გადადგა. მისადგილას დაინიშნა ბალახანა-საბუნჩის პოლიცმეისტერი პოდპოლკოვნიკი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ზდანოვსკი, რომელიც 21 თებერვლიდან შეუდგება თავის თანამდებობის აღსრულებას.

◆ **ახალი ხმოსანი.** ა. ფ. ფრიდონოვის გარდაცვალების გამო ხმოსნად მოწვეულ იქმნება პირველი კანდიდატი ალ. ბეს. ძღივანი, ქართულ გიმნაზიის დირექტორი.

◆ ცნობილი მოსკოველი ჟურნალისტი **ს. გ. იაბლონოვსკი ლექციებს: „ცხოვრებიდან მიმავალნი“ და „დაუბადებელთა უფლება“** 25 და 27 თებერვალს წაიკითხავს არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში. ბ. იაბლონოვსკიმ თავისი ლექციები პირველად მოსკოვში წაიკითხა და როგორც იქაური გაზეთები გადმოგვცემენ დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. „დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო, ბევრმა უადგილობის გამო ვერც მოახერხა ლექციაზე დასწრება, ავაციებსა და „ვაშას“ ძახილს საზღვარი აღარ ჰქონდაო“ სწერს გაზეთი „რუსკოე სლოვო“.

◆ ალ. არაბიძემ მოიპოვა უფლება გამოსცეს ქართულად კ. რ—ის ცნობილი დრამა: **„მეფეე ურიათა“**. დრამას პ. ქავთარაძე სთარგმნის. იგი მოკლე ხანში დაისტამბება.

◆ **ქალაქის დავალიანება.** ქალაქის მთელის ვალის გამოსარკვევად და ამ ვალის გასასტუმრებელ ღონისძიებათა შესამუშავებლად საბჭომ საგანგებო კომისია აირჩია. კომისიაში შედიან ხმოსნები: ბეზობრაზოვი, მიტკევიჩი, ბაბოვი, თ-დი ვაჩნაძე, მაზმანოვი, ჯაბარი და სულხანოვი. კომისიის პირველი კრება დღეისთვის არის დანიშნული.

◆ **ქალაქის მდივნის** თანამდებობაზე ასახელებენ შემდეგ კანდიდატებს: ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეებს—საატსაზოვს, სტაროსელსკის, ფირცხალაიშვილს და იუზბაშევს და ქალაქის იურის-კონსულტის თანაშემწედ ნამყოფს ქანანოვს.

◆ **1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის** განსახილველად დღეისთვის დანიშნულია კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება.

◆ **მუშტაიდზე ქუჩის გაყვანის** საკითხს ქალაქის საბჭო თვის ერთ-ერთს უახლოეს კრებაზე განიხილავს.

◆ **ახალ კლუბს** 1913 წელს მთელი შემოსავალი ჰქონია 168,000 მ. წმინდა მოგება დარჩენია 9,000 მანეთამდე. 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 158,000 მ.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს კრება 19 თებერვლისთვის არის დანიშნული მორიგ საქმეთა განსახილველად.

◆ ახალი კლუბის წევრთა წლიური კრება, რომელიც დანიშნული იყო 16 თებერვლისთვის, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო და გადაიდო პარასკევს, 21 თებერვლისთვის.

სიღნაღი

◆ გაზაფხულივით წვიმები დაიწყო სიღნაღის გარშემო და ეხლავე შეეტყო ბალახს და მოსავლის გამოცოცხლება.

პირველი საჯარო კრება

ტფ. ქალთა საზოგადოებისა

შაბათს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში გაიმართა პირველი საჯარო კრება ქართველ ქალების საზოგადოებისა. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. კრებაზე წაკითხული მოხსენებანი ფრიად საინტერესო და შინაარსიანი იყო.

პირველი ლექცია წაიკითხა ვახ. ღამბაშიძემ, რომელმაც მეტად გასაგების და მდაბიურის ენით აუხსნა დამსწრეთ, თუ რა და რა მიზეზები იწვევს ბავშვების ავადმყოფობას, აღნიშნა ჰაერის, ბინის, მშობლების ლოთობის, ტანსაცმელის, საზრდოს და სხ. გავლენა ბავშის ჯანმრთელობაზე. ლექტორმა დაასურათა თავისი საუბარი მრავალის საგულისხმიერო მაგალითით და მშვენიერის ბუნდოვანის სურათებით. ქალებმა ყურადღებით მოისმინეს ბ. ღამბაშიძის პირველი ლექცია, რომელიც იყო საზოგადო შესავალი მის მიერ განზრახულ ლექციების სერიისა ბავშვის აღზრდის შესახებ.

ასევე საინტერესო გამოდგა მეორე ლექციაც ალ. გარსევანიშვილისა: „ქართველი ქალი მე-18 საუკუნეში“. შესავალში ლექტორი შეეხო საზოგადოდ ქალთა განთავისუფლების იდეას, შემდეგ გააცნო საზოგადოებას გამოჩენილი ქართველი ქალები, რომელნიც მოღვაწეობდნენ მეთვრამეტე საუკუნეში—ვახტანგ მე-VI ქალი თამარ, დედა ერეკლე მეორისა, და ქეთევან ანდრონიკაშვილი, განთქმულნი თავის სახელმწიფოებრივ ნიჭით: გლეხის ქალები თამრო ვაშლოვანელი, თინა წავკისელი და ერთიც ანაველი ქალი (რომლის სახელი არ ვიცით), რომლებიც თავგამოდებული დამცველნი იყვნენ გლეხთა ინტერესებისა და დიდი მებრძოლნი მამულის თავისუფლებისათვის. გლეხის ქალთა შორის ყველაზე უფრო გამოჩენილი იყო მაია წერეთელი, რომლის თავგადასავალი სწორედ საარაკოა: იგი ბატონის ყმა იყო, ბატონმა შეურაცხყოფა მიაყენა, კაცის ტანისამოსი ჩაიცვა და ქალაქში წავიდა საჩივლელად მეფე ერეკლესთან. აქ მეფის სამსახურში შევა და სახელს გაითქვამს, როგორც გლეხების მოსარჩლე და ბატონების მტერი. მერმე მეფის კარზედაც უსამართლოდ მოეპყრობიან და ყაჩაღად გავარდება მათე წერეთლის სახელით. რამდენიმე წლის შემდეგ მეფეს შეურიგდება; გაუმხელს, რომ ქალია, მაგრამ რაინდისა და მამაკაცის ხასიათი სიბერემდის შერჩება, მონაწილეობას მიიღებს ომში სპარსელების წინააღმდეგ, ტყვედ წაიყვანენ და ერევნიდან გამოქცეულს გზაში მოჰკლავენ ფარულად.

დასასრულ ლექტორმა მიუთითა ქალებს იმ გარემოებაზე, რომ დღეს ვითარება შეიცვალა: წინად თუ ქალი ხმლით იცავდა სახალხო ინტერესებს, დღეს ქალი უნდა შეიმოსოს კულტურული იარაღით, გაბედულად გამოვიდეს ყოველს საზოგადო ასპარეზზე და თავის ცოდნით, შრომით, მოღვაწეობით ემსახუროს ერის აღორძინების საქმეს. ქალის მნიშვნელობა ყოველთვის დიდი იყო კაცობრიობის ცხოვრებაში, სთქვა ლექტორმა: დიდია დღესაც და ეს უნდა შეიგნონ ჩვენმა ქალებმა.

დამსწრეთ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს როგორც ვ. ღამბაშიძე, ისე ალ. გარსევანიშვილი.

ტფ. ქალთა საზოგადოების პირველმა კრებამ ყველაზე ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და სასურველია ასეთი კრებები სისტემატიურად იმართებოდეს.

ქართული წიგნი და გაზეთი

1913 წ.

(სტატისტ. ცნობები)

1913 წელს ქართულს ენაზე გამოდიოდა ყოველდღიური გამოცემანი **ტფილისში** 1) სახალხო გაზეთი, 2) ჩვენი დროება (დაიხურა), 3) ახალი აზრი (დაიხურა). ქუთაისში 1) ერი, 2) იმერეთი (დაიხურა) 3) მერცხალი (დაიხურა), 4) კოლხიდა (დაიხურა), 5) დილა (დაიხურა), 6) თანამედროვე ქვეყანა (დაიხურა), 7) სიმართლის ხმა, 8) სიტყვა (დაიხურა). **ბათომში** 1) ბათუმის გაზეთი.

ყოველ-კვირეული გამოდიოდა **ტფილისში** 1) კლდე, 2) თემი, 3) მოსავალი, 4) მათრახი, 5) ფიქრი, 6) სუსხი (დაიხურა). **ქუთაისში** 1) შინაური საქმეები, 2) სასოფლო გაზეთი, 3) ჩვენი თეატრი (დაიხურა), 4) ოქროს ვერძი (დაიხურა) 5) კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერაცია (დაიხურა), შრომის კავშირი **ბაქოში** 1) ჩვენი წყარო (დაიხურა); კვირაში ორჯელ გამოდიოდა; **სიღნაღში** 1) ხმა კახეთისა. ორკვირეული: **ტფილისში** 1) ნაკადული (მცირე წლოვანთათვის). ყოველთვიური **ტფილისში:** 1) ნაკადული (მოზრდილთათვის), 2) ჯეჯილი, 3) განათლება: **ქუთაისში** 1) განთიადი.

გასულ წელს ქართულს ენაზე სულ გამოდიოდა 31 დროგამოშვებითი გამოცემა: ყოველ-დღიური 12, ყოველ-კვირეული 13, ყოველ-თვიური 4, ორკვირეული 1 და კვირაში ორჯელ 1.

ამ გამოცემათაგან პასუხის-გებაში მისცეს 1) განათლება № 1, 2) სახალხო გაზეთი № 824, 3) ჩვენი წყარო № 6, 4) თანამედროვე ქვეყანა № 20, 5) იმერეთი № 177, 6) სიტყვა № 4, 7) მერცხალი № 101, 8) სუსხი № 4.

ამავე წელს ქართულს ენაზე გამოუციათ წიგნები 1) პოპულიარულ-პოლიტიკური ხასიათისა 1 წიგნი 1000 ცალი, 2) სახალხო საკითხავი 48 წიგნი 130.500 ცალი, 3) სარწმუნოებრივი-ზნეობრივი ხასიათისა 18 წიგნი 30.900 ცალი, 4) საბავშვო 2 წიგნი 2200 ცალი, 5) კალენდარი, წესდება, ანგარიშები, პროექტები და სხვ. 20 წიგნი 37.380 ცალი, 6) ბელლეტრისტიკა 101 წიგნი 177.054 ცალი, 7) სახელმძღვანელოები 12 წიგნი 54.100 ცალი, 8) სამეცნიერო თხზულებანი 44 წიგნი 42.014 ცალი, 9) მუსიკალური ნაწარმოები 1 წიგნი 12000 ცალი. სულ გამოსულა 247 თხზულება 476.348 ცალი.

1913 წელს სამართალში მიუცათ და მოუსპიათ ქართულ ენაზე გამოცემული თხზულებანი 1) როს ნადიმობდნენ, დრ. შ. დადიანისა, 2) ცხოვრების ტალღები, ლადო ახობაძისა, 3) გარდასახადის შესახებ გამოც. „გლეხისა“, 4) საუბარი სოციალიზმზე დელინგერისა, 5) აკაკის თხზულება II ტომი (მოუსპიათ მხოლოდ ერთი პოემა ვორონცოვი და მისი დრო, 6) ნაციონალური საკითხი ჩვენში, ნარიძისა.

ქართული ენა საშუალო და დაბალ სასწავლებლებში

ამ ბოლო დროს ზოგიერთმა ქართველმა მშობლებმა ხმა ამოიღეს არა-ნორმალურ მდგომარეობაზე ქართულ ენის სწავლებაზე საშუალო სასწავლებლებში. ეს მოვლენა სასიამოვნოა, ხოლო სამწუხარო ის არის, რომ ამ კითხვაში დღემდის გულმხურვალე მონაწილეობას არ იღებენ: ქართველი მშობლები და მშობელთა წრეები, დაარსებულნი საშუალო სასწავლებლებში. მკითხველმა უწყის, რომ ქართული ენა არ არის სავალდებულო საგანი, მას ეთმობა ბოლო გაკვეთილები (მეხუთე-მეექვსე). ამას გარდა, გაკვეთის დროს აერთებენ ორ-ორ კლასს ერთად და მით უფრო ძნელდება სწავლის საქმე.

ამ საგნის შესახებ არის მოთავსებული „სახალხო გაზეთში“ წერილი: „ქართული ენა მეორე გიმნაზიაში“ (№ 1115, თებერვლის 13-ს). ამ წერილის ავტორმა—„მშობელმა“ ძლიერ ვიწრო წრე აიღო განსახილავად იმ მიზეზებისა, რაც უშლის ნორმალურ სწავლას ქართულ ენაზე საშუალო სასწავლებელში. „მშობელი“ შეეხება კერძოდ მეორე გიმნაზიას და აქ ეძებს ნაკლის მიზეზს არანორმალურ ქართულ ენის სწავლისას. ამ ვიწრო კალაპოტშიაც ავტორი კორესპონდენციისა შეეხება ქართულ ენის მასწავლებელს, ხოლო დაბალ კლასებში დამნაშავედ იგი მიაჩნია. მე არა მსურს მისი (მასწავლებლის) არც გამართლება და არც გამტყუნება, ამიტომ რომ მიზეზი ამ შემთხვევაში სულ სხვაა. თუმცა „მშობელმა“ თავის წერილში თავშივე გამოსთქვა სურვილი ძირითადად მიზეზის გამოძიებისა, მაგრამ ამ იქავე გვერდი აუქცია.

საქმე ისაა, რომ დღეს ქართულ ენის სწავლება ისეთ პირობებშია, რომ ვერც ის მოხსენებული მასწავლებელი და ვერც სხვა ქართული ენის სწავლებას ჯეროვან ნიადაგზე ვერ დააყენებს, ვიდრე საქმის ვითარება სასიკეთოდ არ შეიცვლება.

ქართულ ენის სწავლებამ რომ სარგებლობა მოიტანოს, საჭიროა, რომ სამშობლო ენას მიეცეს როგორც დაბალ, აგრეთვე საშუალო სასწავლებლებში სავალდებულო საგნის ადგილი. დიდად სამწუხაროა, რომ დაბალ სასწავლებლებში (სამინისტროს, სამოქალაქო სასწავლებლებში), სავალდებულო საგნებად ითვლება სუფთა-წერა, მხატვრობა, მხაზველობა, ხოლო საშუალო სასწავლებელში ამგვარივე საგნებად ითვლება ლათინური, ფრანგული და გერმანული,—ჩვენი სამშობლო ენა კი ითვლება არა სავალდებულო საგნად! სად არის სამართალი? აი აქ არის ძირითადი მიზეზი იმისი, რომ ქართულ ენის სწავლება ჯეროვან ნაყოფს არ იძლევა. სამშობლო ენის ცოდნა არამც თუ მარტო მის მცოდნელს, არამედ საზოგადო საქმესაც და მთავრობასაც დაეხმარება. დღევანდელს გარემოებაში ქართული ენის სწავლება არარაა. ამას ასე უცქერიან არამც თუ ბავშვები, არამედ ზოგი შეუგნებელი მშობლებიც. ქართულ ენის უცოდინარობა ხელს არ უშლის ბავშვის მიღებას სასწავლებელში, არც კლასიდან კლასში გადასვლას. ამის შემდეგ, რა მოეთხოვება მასწავლებელს! მისი გაკიცხვა ამ პირობებში უსაფუძვლოა. ამ გარემოებისა გამო ზოგმა ქართველმა ბავშვმა სულაც არ იცის ქართული წერა-კითხვა, ზოგმაც იცის სუსტად. ამ გარემოებაში ქართული ენის მასწავლებელი, რასაკვირველია, ვერ დაიცავს ვერც პედაგოგიურს და ვერც დიდაქტიურ პრინციპებს.

ამ საგნის შესახებ გაზეთ „თემში“ არის დაბეჭდილი ვრცელი წერილი: „ფრიად სამწუხარო მოვლენა“ (№ 162 თებერვლის 10-ს). ამ წერილის ავტორს სრულიად ვეთანხმები და თან დავძენ, რომ სამშობლო ენას ჯეროვანი ადგილი უნდა დაეთმოს არამც თუ საშუალო სასწავლებლებში, არამედ დაბალ სასწავლებლებშიაც, რადგანაც ის არის საფუძველი-საძირკველი სასწავლებლებისათვის: ამას გარდა ბევრი მათგანნი ხელმოკლეობისა გამო ვეღარ ავრცელებენ სწავლას და შედიან სამსახურში. სამშობლო ენის მასწავლებელს სამინისტრო სამოქალაქო სასწავლებლებში მთავრობიდგან აქვს დანიშნული ჯამაგირად წელიწადში შვიდ თუმან ნახევარი 12 გაკვეთილში. აქედგან ცხადია, რა ადგილი აქვს დათმობილი ამ საგანს სხვა საგნებთან შედარებით.

აქ გასამტყუნარი არც მასწავლებელია, არც სასწავლებლის უფროსი. დანაშაულნი ვართ ჩვენ მშობლები და განსაკუთრებით ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილი, რომელნიც მოვალენი არიან მოითხოვონ მთავრობისაგან, რათა სამშობლო ენა საშუალო და დაბალ სასწავლებლებში აღიარონ სავალდებულო საგნად და საკუთარი მასწავლებელიც მიუჩინონ ჯეროვანის ჯამაგირით.

მეორე გიმნაზიის მშობელთაგანი
ფრონელი.

წვრილი კრედიტის ამხანაგობანი დიდი ლიახვის ხეობაში.

(შემდეგი *)

31 იანვარს **საქაშეთის ამხანაგობის** კრება იყო ს. შინდისის სასოფლო-სამმართველოს შენობაში. ერთის თვალ ის გადავლებით კაცი მიხვდებოდა, რომ ყველა წევრები დაინტერესებულები იყვნენ საქმით. საქაშეთის ამხანაგობაში 364 წევრია, თითქმის ყველანი მოსულიყვნენ, აქ ნახავდით აზნაურებს, გლეხებს, თავადებს, მასწავლებლებს და ქალებს. ინსპექტორმა ა. გრიგოლიამ, როგორც თავმჯდომარედ არჩეულმაც, აცნობა ხალხს ნაყოფიერი და მწყობრი მოქმედება ამხანაგობისა, რომელსაც ამ ორ წელიწად-ნახევარში კაი ძალი მოგება დარჩენია და ამ ხნის განმავლობაში გამგეობის წევრებს ბატონ დ. დიასამიძეს, ს. ტიტვინიძეს და მათ ამხანაგებს უსასყიდლოდ უმუშავნიათ. კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა და ექვსი თუმანიც საჩუქრად მიართვა გამგეობას მოგებიდან. გამგეებად ისევ ძველები დასტოვა. მოანგარიშეს დაუნიშნა ჯამაგირი თვეში თუმანი, გამგეობის და სარევიზიო წევრებს თითო-თითო მანათი იმ დღეებში, როდესაც ამ საქმისთვის იმუშავებენ. შემდეგ მიეცა ხალხს წინადადება: თუ როგორ მოეპყრან იმ ამხანაგებს, რომლებსაც ნასესხი ფული არ შემოუტანიათ ვადაზე, ამისთანა სამი კაცი აღმოჩენილა— ერთს კი შემდეგ შემოუტანია თავის ნებით, და მიზეზი უთქვამს, რომ სხვაგან ვიყავი სამუშაოდ და ფული დროზე ვერ მივიღეო, ხოლო მეორეს საქაშნელს ნიაღვრისაგან სახლი დანგრევია, და საცხოვრებელი წალეკვია. მესამე მღვდელი ყოფილა, რომლისთვის ბოქაულს ძალით გადუხდევინებია. აი ამაზე იყო საგულისხმო მსჯელობა. პირველს ეპატიოს დანაშაული, ხოლო გაფრთხილდეს კვლავაც, ბანკი ვერ მოითმენს დაცდასაო, იმიტომ რომ არც ჩვენ გვაცდის სახელმწიფო ბანკიო. მეორეს, როგორც დაზარალებულს გაუგრძელდეს ვადა, ხოლო მღვდელს ვერ დავუთმობთ, ეგ პირიქით, ჩვენ უნდა გვარიგებდესო. გამოვრიცხოთ ამხანაგობიდან ორი წლის განმავლობაშიო, იყვნენ წინააღმდეგნიც, ნუ შევარცხვენთ, ნუ გამოვრიცხავთო, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც დაიძახეს, სულ ერთია თითონ გავა ამხანაგობიდან და იმითი წიხლს დაგვკრავს, სჯობს ჩვენ დავასწროთო.

შემდგომ ხალხმა სთხოვა ინსპექტორს, მიეცეს საქაშეთის ამხანაგობას ხუთი ათასი მანათი გძელვადიანი სესხი თხუთმეტი წლის ვადით, იმ პირობით, რომ ამ სესხით ისარგებლოს მხოლოდ იმ ამხანაგებმა, ვისაც ხილის ბაღისა და ვენახის გაშენება მოისურვოსო. ხეხილი ჩვეულებრივ მეხუთე-მეექვსე წელიწადს ისხავს და მოკლე ვადიანი სესხი ვერ არის სახეიროო. ინსპექტორმა სიამოვნებით აღუთქვა დახმარება ამ საქმეში. ყველა ამ დადგენილებას ხელი მოაწერეს; ხელის მომწერნი სამყოფად აღმოჩნდნენ. არ შემიძლიან ცოტა არ შევჩერდე ამ ხელის მოწერაზე, და არ გიამბოთ ერთი უცნაური ამბავი: სოფელ ძლევიჯვრიდან (60 კომლია), სულ 31 კაცი იყო ამხანაგები ამ ყრილობაზე და ხელის მოწერა მხოლოდ ერთმა იცოდა, შინდისლებმა და სხვებმა კი მრავალმა. ძლევიჯვრელებს შერცხვათ ასეთი უბირობა და იქვე მოითხოვეს, შეგვიდგინეთ განაჩენი, ჩვენ სოფელში სკოლა გაგვიხსნანო, რაც სიამოვნებით შეუდგინა ერთმა ამხანაგთაგანმა და წაიღო სკოლების ინსპექტორთან გადასაცემად.

საერთო შთაბეჭდილება საქაშეთის ამხანაგობის ჩინებული გამოდგა მეტადრე მით, რომ ყველა ჯურის ხალხს მხურვალე მონაწილეობა მიუღია, და ყოველთვის შეიძლება ახალ-ახალი ძალები შეიძინოს ამ დაწესებულებამ, რომელიც აჩვევს მსჯელობას, ანგარიშიანობას, დამზოგველობას და პირნათლობას.

1 თებერვალს ამხანაგობის ყრილობა იყო დიდს და მშვენიერ სოფელ **რუისში.** ეს სოფელი სიგრძით შვიდი ვერსი იქნება, სცხოვრობს რვაას კომლამდის ხალხი ყველა წოდებისა, ბლომად არიან აზნაურები, სამღვდელონი, მასწავლებლები სამინისტრო თუ სამრევლო სკოლებისა; მართმადიდებლები, გრიგორიანები, ვაჭრები და ხელოსნები. მშვენიერი სასახლეები აქაურ ინტელიგენტებისა, სკოლისა, ძველი დიდებული ტაძარი მროველის კათედრითა, ციხე-კოშკები და სხვანი ითქმებიან საუცხოვო ბაღ-ვენახებში. ყველა ამ სურათის მნახავი სიამოვნებით იმედოვნებს მომავალ ამხანაგობის კრებას, და წინდაწინვე აძლევს თავის თავს ანგარიშს, აქ საქმე ჩინებულად იქნებაო, მაგრამ მოსტყუვდებით. როგორც ეტყობა ამ გძელ სოფელში მხოლოდ ერთი კაცი ყოფილა მოსაქმე ყველაფერში, ეს გახლავთ იოსებ გულისაშვილი, საგარეჯოელი, მხოლოდ აქ ჩასიძებული. მოანგარიშეც ეს არის, თავმჯდომარეც, კასირიც, სხვა კულტურის შემტანიცა. ბინაზე არც კი ეზრუნათ, თუ სად მოეხდინათ ყრილობა. ჯერ დაუმთავრებელ სასოფლო სამმართველოში შევიდნენ, რაც დაუგველი იყო და არც სკამები და მაგიდა იდგა, შემდგომ სამინისტრო სკოლის შენობაში მოიყარეს თავი, სულ გლეხკაცობა იყო, ერია მხოლოდ ერთი გ. მამაცაშვილი და მწერალი მძინარაშვილი გამგეობის წევრთაგანნი უწერილო ხალხი იყო. არავითარი არა ახსოვდათ-რა საქმის წარმოებისა. რევიზიის კაცებს ერთხელაც არ გაუკეთებიათ რევიზია. არც იციან რამე. ოთხმოც თუმნამდე გაუნაღდებელი ვექსილები და სხვა მრავალი ნაკლი აღმოჩნდა. ახალი გამგეობის წევრების არჩევა გასჭირდა ამოდენა ხალხში, წერა-კითხვის მცოდნე თითქმის არავინ იყო. ზოგიერთი აქაური ცნობილი პირები დაიბარეს, მაგრამ არ მოვიდნენ. ხალხმა სთხოვა ინსპექტორს კიდევ მოუმატონ მოკლე და გრძელ ვადიანი სესხი.

მეურნე.

---

*) იხ. „სახ. გაზ. № 1117.

მუშათა ცხოვრება

უცხოეთში

ლონდონი (დეპეშა) ჰაიდ პარკში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი; მიტინგმა პროტესტი განაცხადა სამხრეთ-აფრიკის მუშათა მოძრაობის ბელადების გადმოსახლების წინააღმდეგ. გადმოსახლებულმა მუშებმა სიტყვები წარმოსთქვეს, მიტინგმა თანაგრძნობა გამოუცხადა გაძევებულთ და მათი უკანვე დაბრუნება მოითხოვა.

პარიზი (დეპეშა) დაიწყო მუშათა პარტიის დამფუძნებელ კრების სხდომები. ამ პარტიაში ის ელემენტი შედის, რომელიც გაერთიანებულ სოციალისტთა პარტიას გამოეყო უკანასკნელ კონგრესის შემდეგ.

მუშათა საეროვნო საბჭომ მუშათა ორგანიზაციებს წინადადება მისცა მუშაობა 18 თებერვლიდან განაახლონ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

16—17 თებერვალი.

უცხოეთი.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, ვენიზელოსი აცხრობს ეპირის ავტონომიურ მოძრაობას. დაითხოვა თანამდებობის პირნი, რომელნიც მოძრაობის სათავეში სდგანან, დააპატიმრა ავტონომიურ მთავრობის პრეზიდენტი, ბრძანება გასცა, რომ არგირო კასტროსა, დელვინოს ეპისკოპოსებს მიეტოვებინათ თავისი საეპარქიოები და საბერძნეთის მიწა-წყალზე დასახლებულიყვნენ.

ათინი. ათინის სააგენტო იუწყება: როგორც კი ზოგრაფოსი არგირო-კასტროში მივა, ალბანეთის კუთვნილ ეპირის ნაწილში გავრცელებული იქნება პროკლამაციები ავტონომიის მოთხოვნილებით. ავტონომია გამოცხადდა უკვე დელვინსა, პრემეტსა და არგირო-კასტროში; იქვე იღებენ შემოწირულებას საავტონომიო ბრძოლის საჭიროებლად. პროკლამაციის გამოსვლა კორიცის ევაკუაციის დღეს მოხდება, როდესაც ალბანეთის ჟანდარმერია ჩაიბარებს ამ კუნძულს.

ტოკიო. სამხედრო წრეებში უკმაყოფილონი არიან პარლამენტში სამხედრო მინისტრის განცხადებით, რომ იაპონიის მოწინააღმდეგეთ, უეჭველია, რუსეთი არის და რომ იაპონიის მდგომარეობა მანჯურიაში გაცილებით უკეთესია რუსეთისაზედ. სამხედრო წრეები ამ განცხადებას საიდუმლოების გამჟღავნებას უწოდებენ.

მადრიდი. სოციალისტ და რესპუბლიკანელმა დეპუტატებმა დააღგინეს, კორტესში (პარლამენტი) გა-

---

ეროვნება და ტერიტორია

(შემდეგი *)

ეროვნებანი განსხვავდებიან ურთიერთის შორის მიტომ, რომ განსხვავდებიან ისტორიული გზანი, რომელნიც მათ გაუვლიათ და განსხვავდებიან ტერიტორიები, რომელიც მათ უჭირავთ.

გეოგრაფიული პირობების გავლენას კულტურის მსვლელობაზე უკვე მეთვრამეტე საუკუნეში მიაქცია ყურადღება მონტესკიემ. საგრამ ფრანგ ფილოსოფოსს უწინარეს ყოვლისა კანონმდებლობის სხვა და სხვაობა აინტერესებდა. მისი „კანონთა სულის“ მეთოთხმეტე წიგნი ეხება კანონების ურთიერთობას კლიმატიურ პირობებთან, მეთვრამეტე—მათ დამოკიდებულებას ნიადაგთან.

მონტესკიეს იდეას გამოჩენილმა გეოგრაფმა კარლ რიტერმა მეტაფიზიკური მიმართულება მისცა. მისი შეხედულებით ტერიტორიის გეოგრაფიულ რელიეფსა და მასზე დაბინავებულ ხალხის გენიის შორის ერთნაირი წინასწარი ჰარმონია არსებობს: ეს ტერიტორია და ეს ხალხი წინდაწინვე ერთიმეორესთვის არიან გაჩენილნი. ამიტომ მათი ურთიერთობითი გავლენა ჰქმნის ისტორიულ პროცესს, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება ღვთაებრივს პლანს.

ელიზე რეკლიუმ და ლეონ მეჩნიკოვმა ეს „გეოგრაფიული თეორია“ გაათავისუფლეს მისტიური ელემენტებისაგან და მეცნიერულად დაასაბუთეს (იხ. მეჩნიკოვის წიგნი „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები“, რეკლიუს წინასიტყვაობით, პარიზი 1889 წ.) „რასა არის არა მიზეზი, არამედ შედეგი; ის შვილია დედამიწისა“. გეოგრაფიული პირობებით აიხსნება არა მარტო რასათა სხვა და სხვაობა, არამედ კულტურის ისტორიული მსვლელობა. კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანს დიდი მდინარეები წარმოადგენენ. ეს მოვლენა არ არის შემთხვევითი: ნილოსის, ტიგრის, ეფრატის, განგის, ინდუსის, ჰოანჰეს და იანცე-კიანგის ნაპირები ისეთ გეოგრაფიულს პირობებს წარმოადგენენ, რომ მათი დაპყრობა და დამუშავება სოციალურ ძალთა კორდინაციას, მათ მიზან-შეწონილებას ითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე ნაყოფიერი ტერიტორია შეჩვენებად გადაიქცეოდა ბინადართათვის. შემდეგ ცივილიზაციის კერად ხმელთა შუა ზღვა გადაიქცა: ამ ეპოქას ფინიკიელთა, ბერძენთა, რომაელთა, ბიზანტიელთა და საშუალო საუკუნეთა კულტურა ეკუთვნის. ბოლოს ცივილიზაცია ოკეანური ხდება.

მაგრამ აქ მაინტერესებს არა ეს ზოგადი კონცეპცია (რომელსაც არ ვიზიარებ სავსებით), არამედ კერძო დასკვნანი, რომელიც შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ამ თეორიიდან.

ცხადია ეროვნული ტერიტორია მეტია, ვიდრე დასამუშავებელი ადგილ-მამული, რომლის დაცვა „გაბატონებულ კლასების ინტერესს წარმოადგენს“. ის იმ ფიზიკურ პირობების საფუძველია, რომელშიაც ეროვნება იზრდება, ცხოვრობს და ვითარდება. ეროვნული ფსიხიკა ეთვისება ტერიტორიას და ითვისებს მას, ე. ი. ახდენს იმას, რასაც „ტერიტორიის ადეპტაციას“ უწოდებენ.

რადგან სოციალური გამოცდილება თაობიდან თაობამდე გროვდება და ფართოვდება მის გავლენის ქვეშ ეროვნული ფსიხიკაც თან და თან მდიდრდება და ვითარდება. ამიტომ ერთი და იგივე ტერიტორიალური ელემენტი სხვა და სხვა ისტორიულ ხანაში სხვა და სხვა გავლენას ახდენს ეროვნულს ხასიათსა და კულტურაზე. მდინარე და მთა, რომელიც განუვითარებელი ერისთვის ხშირად განკერძოების და პარტიკულარიზმის მიზეზი იყო, განვითარებულისათვის შეიძლება გაერთიანების მომენტად გარდაიქცეს, როცა ის მდინარეს ხიდებით და გემებით დაიპყრობს და მთებში მადნეულობას აღმოაჩენს. მაგრამ რადგან გეოგრაფიული გარემოება საუკუნეთა განმავლობაში საერთოდ ნაკლებ იცვლება, ტერიტორიაც ერთ მხრივ და ანალოგიურად მოქმედებს იმ ამბებზე, ერთი მეორეს რომ მისდევენ. ამიტომ ტერიტორიის ანთროპოპლასტიური გავლენა თან და თან ძლიერდება დროების მსვლელობაში.

დღეს ჩვენ იმავე მიწაზე ვსდგევართ, რომელ ზედაც ჩვენი შორეული წინაპარნი იდგნენ ათასი და ათი ათასი წლის წინად. მაგრამ ჩვენი სხეული, ინტელექტი და ემოციები კიდევ უფრო ორგანიულად არიან შეერთებულნი ამ მიწასთან, ვიდრე მათი სხეული, ინტელექტი და ემოციები იყვნენ. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნიდან შემოიჭრნენ. თავის პირვანდელი სამშობლოდან მათ თან მოიტანეს ერთნაირი ფიზიკური და ფსიხიური კონსტიტუცია, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა ახალი ტერიტორიის გავლენას. ეს ნიადაგი, ეს ჰავა, ეს მთები და ცა უცხო იყო მათი სხეულისა და სულისთვის. და ამ მიდამოს ისინი უცქეროდენ თვალებით, რომელნიც სხვა გარემოებას იყვნენ შეჩვეულნი.

დღეს კი, როცა ჩვენ აკვანში თვალებს ვახელთ ვხედავთ, პეიზაჟს, რომელიც თითქო ნაცნობია ბედნიერი სიზმრის ხილვასავით. მიტომ რომ ჩვენ ვხედავთ არა მარტო ჩვენი საკუთარი, არამედ ჩვენი მიცვალებული წინაპრების თვალებითაც. ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ წარსულ თაობათა მიერ შეძენილი თვისებები. ამიტომ ჩვენი სხეული და ჩვენი სული უფრო ელასტიურია, ის უფრო პასიურად, უფრო დედაკაცურად ექვემდებარება მის გავლენას და ამასთან ერთად უფრო აქტიურად, უფრო მამაკაცურად მოქმედებს მასზე. ამიტომ ჩვენი სულიც უფრო მდიდარია რასაკვირველია. ჩვენი სამშობლო პეიზაჟის წინაშე ჩვენ განვიცდით ემოციებს, რომელიც უცნობი იყო ჩვენი წინაპრებისთვის, ჩვენ მასში ვამჩნევთ ნუანსებს, რომელიც უხილავი იყო მათთვის და ჩვენი ინტელექტი ნიადაგის სიღრმეში ეძებს განძს, რომელიც მათ არასოდეს წარმოედგენიათ.

* *

ურთიერთობა ეროვნებასა და ტერიტორიის შორის ორგანიულია და არა მექანიკური. ეროვნება წარმოადგენს არა მექანიკურს კონგლომერატს, არამედ ორგანულს არსებას და ტერიტორია მისი ბუნებრივი საფუძველია. ამიტომ სამშობლოს სიყვარული უწინარეს ყოვლისა ტერიტორიის სიყვარულია. პიროვნების თვალსაზრისით შეიძლება ამა თუ იმ ტერიტორიას ბევრი ნაკლი ჰქონდეს: ეროვნული თვალსაზრისით ეროვნული ტერიტორია არსებითად უნაკლულოა, მიტომ რომ ყოველ არსებულ ტერიტორიათ შორის საუკეთესოდ არის შეთვისებული მის ვიტალურ მოთხოვნილებებთან, ამიტომ სამშობლო ტერიტორიის სიყვარული ელემენტარულია და, როგორც ყოველი ელემენტარული გრძნობა, უძლეველი.

აქედან ცხადია, თუ რამდენად შემცდარია ის აზროვნება, რომელიც ტერიტორიალურ და კულტურულ პრინციპს ერთი-მეორეს უპირდაპირებს. ერთი ქართველი პუბლიცისტი ამბობს: „ქართველს შეუძლია იცხოვროს საქართველოს გარეშე; ხოლო მას არ შეუძლია იცხოვროს თავისი კულტურის გარეშე. ნაციონალური კულტურა მისი მიუცილებელი მოთხოვნილებაა, ნაციონალური ტერიტორია კი არა“. ქართველს, როგორც ცალკე პიროვნებას, შეუძლიან მოსწყდეს ტერიტორიასაც და ეროვნულ კულტურასაც. ამის მაგალითები ბევრი ვიცით. მაგრამ საკითხი ეხება არა განცალკევებულ პიროვნებას, არამედ ეროვნებას, როგორც სოციალურს ერთეულს. ამ უკანასკნელისთვის კი ეროვნული ტერიტორიაც ისეთივე „მიუცილებელი მოთხოვნილებაა“ როგორც ეროვნული კულტურა, მიტომ რომ ეროვნული კულტურის არსებობა, ზრდა და განვითარება შეუძლებელია უტერიტორიოთ. თანამედროვე ებრაელები თვალსაჩინო მაგალითია სამშობლოდან განდევნილი ეროვნების. ამ ხალხმა პალესტინაში ყოფნის დროს ძლიერი და თავისებური კულტურა შექმნა, ორიგინალური მორალი, კანონმდებლობა, პოეზია და სარწმუნოება შეიმუშავა. დღეს ის ტერიტორიასთან ერთად მოკლებულია ეროვნულ ენას და კულტურას. მან რამოდენიმედ შეინარჩუნა შინაგანი ნაციონალური ხასიათი და გარეგნული ფიზიონომია, როგორც დალი ერთდროინდელი ტერიტორიალური და ისტორიული ერთიანობისა, მაგრამ მისი ნიჭი იმდენად ნაყოფიერი აღარ არის, რომ დამოუკიდებელი შემოქმედება შესძლოს ფართო ფარგლებში. ამიტომ მისი საუკეთესო ენერგია ანაციონალურ მიმდინარეობას ღებულობს და მისი არსებობა წარმოადგენს ტრაგედიას, რომლისგანაც მისი საბოლოოდ გამოყვანა შეუძლია ან სხვა ერებში გათქვეფას ან დაბრუნებას ძველს სამშობლოში.

ტერიტორიის გავლენა ხალხის რწმენაზე თუ ცრუმორწმუნოებაზე იმდენად ძლიერია, რომ თითქმის ყოველს ერს თავისი თავი თავისი სამშობლოს მიწისგან ჰგონია გაკეთებული. ჩინელებს ღრმად სწამთ, რომ ისინი ჰოანჰეს ილამების ყვითელი თიხისგან არიან ნაქმნი. ბერძნებს ეგონათ, რომ ისინი ჰელლადაში ავტოხტონნი იყვნენ და არა გარედან მოსულნი. მათ ვერ წარმოედგინათ თუ მათი ფილოსოფიური, პოეტური და პლასტიური ნიჭი სხვაგან სადმე განვითარდებოდა, თუ არა ამ მრავალ ფეროვან კუნძულებსა და ნახევარ კუნძულებზე, რომელიც მათი ქანდაკებისათვის კეთილშობილ მარმარილოს იძლეოდა, მათი კერამიკისათვის ძვირფას თიხას, ხოლო აგონებისა და მგოსნებისათვის მწვანე დაფნის და ვერცხლისფერი ზეთის ხილის შტოებს. მაგრამ რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, ეს ნაყოფიერი ტერიტორია და კეთილმყოფელი ჰავა მათ ნებას აძლევდა მყუდროებისა და მატერიალური ზრუნვისათვის ნაკლები ენერგია შეეწირათ და თავისუფალი დრო თეორეტიული შემოქმედებისა და აგონისტური ვარჯიშობისათვის მოეხმარათ. ძნელია წარმოვიდგინოთ უფრო ვიწრო კავშირი კულტურასა და ტერიტორიის შორის. გასაკვირალი არაა, რომ ჰელლადის ზღვის ხმაურობა დღესაც გვესმის ჰომიროსის პოემებში.

მაგრამ ტერიტორიის ანთროპოპლასტიური გავლენის ცოცხლად დასანახად ასე შორს წასვლა არ არის საჭირო. მის საუკეთესო ილუსტრაციას დღევანდელი ჩრდილოეთი ამერიკა იძლევა. შეერთებული შტატების მიწა-წყალი ამ ოთხი-ხუთი საუკუნის განმავლობაში რამოდენიმე ერმა დაასახლა. ეს ერები ურთი-ერთის შორის განსხვავდებოდნენ ენით, ხასიათით, კულტურით, ისტორიით. რიცხვით ყველას ინგლისელები სჭარბობდნენ. აი შერევისგან წარმოიშვა ახალი თავისებური და ნათლად ჩამოყალიბებული ტიპი პრაქტიკული, ენერგიული და შორსმჭვრეტელი იანკისა, რომელიც სრულიად განსხვავდება როგორც ინგლისელისა და გერმანელისა, ისე ირლანდიელისა, იტალიელისა და სლავიანისაგან.

გ.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „სახალ. გაზ.“ № 1117

ეროვნული

ნაგრძონ ინსტრუქცია მანამდე, ვიდრე მაროკოში ომიანობა შესწყდება.

ვალენსია. არეულობა განახლდა. გაიმართა მანიფესტაცია. ჯოჯოხეთის მანქანა აფეთქდა. პოლიციამ გაჰფანტა ბრბო.

ვენა. იმპერატორმა მიიღო ესადფაშა და დელეგაციის წევრნი.

ვაშინგტონი. ბრიანი იტყობინება: შეერთებულ შტატთა მთავრობამ ჰუერტის მთავრობას მოთხოვნილება გაუგზავნა, დასაჯოს ის პირნი, რომელთაც ბრალი მიუძღვის ვერგარის მკვლელობაში.

ბუდაპეშტი. იმპერიის შეერთებულ ჯართა მინისტრმა ხაზაიმ პალატაში სთქვა: „თუ ჩვენ მოგვიხდება საქმის ქონა, რაც შესაძლებელია,—პირველ ხარისხოვან მოპირდაპირესთან, საჭიროა ჩვენი ჯარი სათანადო სიმაღლეზე იდგეს. ევროპა იარაღს ისხამს, ომის აჩრდილი ჩვენს თვალწინ დაფარფატებს. ის გარემოება, რომ ჩვენ სხვა დიდ სახელმწიფოზე ღარიბნი ვართ, არ გვავალებს ჯარის გაძლიერებისთვის არ ვიზრუნოთ. თუ გვინდა ცხოვრება, უნდა შევქმნათ ასეთი პირობები".

ტრიესტი. ღამით მრავალრიცხოვან ანარქისტებმა, მარინის პატივისცემლებმა, ღამით დემონსტრაცია მოახდინეს; დემონსტრანტებს შორის ბევრი სტუდენტი იყო. ბრბო ყვიროდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს ანარქიას!" პოლიციამ ბრბო გაჰფანტა და 12 კაცი დააპატიმრა.

კალკუტა. ავსტრალიის მეცნიერი ფოქსი, რომელმაც გველის კბენის წინააღმდეგ გამოიგონა წამალი, პრაქტიკულის დემონსტრაციის დროს გარდაიცვალა საზოოლოგიო ბაღში. ფოქს ვერ შეუმჩნევია გველის ნაკბენი და ვერ მოუსწვრია თვის მიერ გამოგონილ საშუალებით განკურნა.

პარიზი. ქალაქის შუაგულში ბოროტგამზრახველთა ჯგუფმა გასძარცვა საფოსტო ფურგონი. გაიტაცა მილიონ ფრანკის ღირებული ნივთები.

ჰამბურგი. ამ წლის აპრილში გაიმართება საერთაშორისო კონგრესი ექსპერიმენტალურ ფონეტიკის თაობაზე.

პარიზი. ფინანსთა მინისტრმა კაიომ პალატაში განაცხადა, რომ ფინანსიური დაბრკოლებანი გამოწვეული იყო ხარჯთა არაჩვეულებრივი ზრდით; ამან დაარღვია ხარჯთ-აღრიცხვის თანაბრობა. საჭიროა საქმის გამოსწორება. კაიო წინააღმდეგია ერთი დიდი სესხის აღებისა; მისი აზრით, უკეთესია რამდენიმე წვრილი მოკლე ვადიანი სესხი აიღოს. კაიო მოუწოდებს მოპირდაპირეებს, წამოაყენონ თვისი პროგრამა და დაუპირდაპირონ კაბინეთის დემოკრატიულ რეფორმებს. ბრიანს საწინააღმდეგო არაფერი აქვს კაიოს პროგრამისა. ბრიანი ამბობს: კაიო არაფერს აკეთებს თავის პროგრამის განსახორციელებლად; კაიოს არ ჰქონდა იმდენი გამბედაობა, რომ სენატში დაეცვა შემოსავალთა დაგვარი გადასახადის შემოღება. სოციალისტმა კოლიმ განაცხადა, რომ სოციალისტები შემოსავალთა გადასახადის წინააღმდეგ არ გაილაშქრებენო. კაიომ იმედი მისცა, რომ იგი ერთგულად დაიცავს თვის პროგრამას; კაიომ ამასთანავე დააყენა ნდობის საკითხი. დუმერგის განცხადების შემდეგ, რომ იგი ყოველ ღონეს მიიღებს სენატში შემოსავალთა გადასახადის დაცვისთვის, პალატამ ხმის უმრავლესობით მიიღო მორიგ საკითხებზე გადასასვლელი ფორმულა მთავრობისადმი ნდობის გამოცხადებით.

ვაშინგტონი. მექსიკის მთავრობამ აღუთქვა შეერთებულ შტატთა მთავრობას, დაწვრილებითი განმარტება მისცეს ამერიკულ ვერგარის დახვრეტაზე ფედერალისტების მიერ.

ტოკიო. ფორმოზში შეთქმულების აღმოჩენის გამო სამართალში მისცეს დამატებით 150 კაცი. ამათში შეთქმულთა მოთავეს სიკვდილი გადაუწყვიტეს; 53 კაცს კატორღა ხუთიდან 15 წლამდე; ხმები გავრცელდა, რომ გერმანმა იაპონია მიატოვაო.

ვენა. კორესპონდენც- ბიუროს ვალონიდან ატყობინებენ: საკონტროლო კომისიამ ზოგრაფოსის ხელ მოწერილი დეპეშა მიიღო კორფიდან; დეპეშით იტყობინებიან, რომ არგირო-კასტროში კრება გაუმართავთ და დაუდგენიათ, რომ ეპირის მცხოვრებნი თავის დღეში არ მიიღებენ ალბანეთის ბატონობას და ეპირში დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებენო.

ბერლინი. დაარსდა გერმანია-ჩინეთის ინსტიტუტი; ინსტიტუტის მიზანია—ჩინეთის მცხოვრებთა შორის გაავრცელოს გერმანიის მეცნიერება და ტეხნიკა, აგრეთვე ხელი შეუწყონ გერმანია-ჩინეთის ურთიერთობას.

ვენა. ალბანეთის დეპუტაცია ესადფაშის მეთაურობის ტრიესტში გაემართა, საიდანაც ზღვით დურაცოში წავა.

ბელგრადი. პაშიჩმა სკუპშჩინაში განაცხადა, რომ მშვიდობიანობა ბალკანეთში უზრუნველყოფილიაო. სერბიისა და ოსმალეთის საზავო ხელ-შეკრულება მალე იქნება ხელმოწერილიო.

რუსეთში.

ვარშავა. საგლეხო რეფორმათა 50 წლის თავის სადღესასწაულოდ ჩამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი მაკლაკოვი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე ვისლის მხარეს საგლეხო რეფორმის 50 წლის თავის დღესასწაულის გამო უმაღლესი რესკრიპტი გამოიცა.

პეტერბურგი. პრინცი ვიდი ბერლინში წავიდა.

ადესა. გაიხსნა სასამართლო-სამეცნიერო ექსპერტიზის კაბინეთი. კაბინეთს 15 ოთახი უჭირავს.

მიტავა. დილის 9 საათზე 14 კატორღელი ტუსაღი მოჰვარდნენ ზედამხედველს, მოკლეს იგი, წაართვეს რევოლვერი და თოფი და ზღვის პირისკენ გაიქცნენ. მათ მდევარი დაედევნა.

სპალგი. საგლეხო რეფორმის დღესასწაულის აღსანიშნავად ყველა ეკლესიებში ალექსანდრე მეორისა და მის თანამშრომელთა სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს. ყველა კერძო და სახელმწიფო დაწესებულება ბაირაღებითა და ყვავილებით არის მორთული. გლეხებს ურიგებენ საიუბილეო წიგნაკებს, მოსწავლეებს — საჩუქრებს. იუბილეი გადაიხადეს რადომში, პალტუსკში, სანდორმირში და სხვაგან.

ვარშავა. საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში სადღესასწაულო სხდომა გაიმართა. შინაგან საქმეთა მინისტრმა წაიკითხა უმაღლესი რესკრიპტი და თავისით სიტყვა წარმოსთქვა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. გუშინ-წინ დასრულდა ქართული თეატრის ზამთრის სეზონი. წარმოადგინეს „სინათლე". ხალხით კვლავ გაივსო თეატრი. კვლავ ბილეთები ბევრს არ ჰხვდა. უკანასკნელი სურათის წინ მსახიობებმა და საზოგადოების გამგეობის წევრებმა „სინათლის" ავტორს ი. გედევანიშვილს სადღესასწაულო პატივისცემა გამოუცხადეს. აიხადა ფარდა. გამოიყვანეს ი. გედევანიშვილი. გარს ეხვივნენ „სინათლის" გმირები. გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ერისთავმა სიტყვით მიმართა და მიართვა საუცხოვო საჩუქარი: საათი მშვენიერი ბრინჯაოს ქანდაკებისა, „ორფეი საიქიოში". შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ვ. გუნიამ და კ. მესხმა, რომელთაც მხურვალე ტაში გამოიწვიეს. წარმოდგენის შემდეგ „ახალ კლუბში" ბანკეტი გაიმართა.

ქ. ბათომი. ბათომის მსახიობთა შორის ბევრი ახალგაზდაა, რომელთა შესახებ საზოგადოებამ არც ავი იცის არც კარგი. ცხრა ასეთმა მსახიობმა დაიდგეს საბენეფისოდ ა. შიუკაშვილის „სიმახინჯე". ამ ბენეფისმა მართლაც გააცნო საზოგადოებას ზოგიერთი უჩინარი მსახიობი, მაგალ. ვ. ალუდიშვილი—საბას როლში ტიპიური იყო და მეტად გრძნობიერათაც შეასრულა... ქ-ნი ლოლობერიძე, თუმცა სხვა ზოგიერთ როლებშიაც გვინახავს ზომიერი ამსრულებელი, მაგრამ ამ ჯერად მოლოდინს გადააჭარბა თავისი კარგი თამაშით... სონა (ბეჟანაშვილი) კარგი იყო, თუმცა დეკლამაცია—მიმიკაში ზომიერებას ვერ იცავდა... ალექსიძე (გიმნაზისტი), როგორც ახალგაზდას მეტი სიცოცხლე შეაქვს თავის თამაშში, მაგრამ არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ იგი სცენაზეა მრავალი საზოგადოების წინაშე და არა თავისუფალ ველზე, სადაც, როგორც უნდა, ისე იხტუნებს. მამულაიშვილი (სტუდენტი) კარგი, მკაფიო გამოთქმა აქვს და მიხვრა მოხვრაც შესაფერი, მეცადინეობას რომ არ უკლოს, კარგი მომავალი ელის... გელოვანი (ილიკო მორბედი) ნიჭიერი მსახიობია. წამბაძველობა და მიმიკა ხელს უწყობს მის კარგ მომავალს, მაგრამ, რომ მოიშოროს ხამუშ-ხამუშ შეტევა-შეყვირებას კარგს იზამდა... არიან კიდევ მართლაც უჩინარი პირნი სცენის მოსამსახურენი, როგორც მოკარნახე, რომელსაც იშვიათათ ჰხედავს საზოგადოება, ეს მოკარნახეც, ბ. ვ. თავქარაძე, მონაწილეობდა, საუცხოვო კომიკური ნიჭი გამოიჩინა ვოდევილ—„უბედური დღე"-ში, სადაც ცოცხლად განასახიერა გოგია-იმერელი ბიჭი—და ბევრიც აცინა საზოგადოება... ცოტა მოუხეშაობა ეტყობოდა ბ. ურუშაძეს—სცენარიუსი (ვარდენ ვექილი) ყობოური არა უჭირს ამ ჯერად კარგად დაგვიხატა სარელმა.

მობენეფისეთ მრავალი საჩუქრები მიიღეს... ვუსურვებთ ახალგაზდა მსახიობთ მეტ შრომასა და ენერგიას.

მესხეთელი.

წერილი რედ. მიმართ

სახ. უნივერ. ქართული სექცია ულრმეს მადლობას სწირავს ნაძალადევის წარმოდგენების მმართველი გამგეობას, მათს სცენის-მოყვარეთ და ჩვენს დამსახურებულ სცენის მუშაკს ბ. ნ. კ. დ—ძეს, ყიფიანს და ჩიქოვანს, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი შრომა და ხელი შეუწყეს ვისაც რითი შეეძლო, ნაძალადევის თეატრში დადგმულ წარმოდგენა „სამშობლოს", რომლის შემოსავალიც გადაეცა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას.

ქართული სექცია.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო სიღნაღის მაზრის მექვსე განყოფილების მომრიგებელს შუამავალს თ. ივანე გიორგის ძე ჯორჯაძეს, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულს გურჯაანის სამინისტრო სკოლაში გამართულ შობის ხესა შემოსწირა ერთი ფუთი ხილი მოწაფების დასარიგებლად. აგრეთვე მადლობას ვუცხადებ გურჯაანის სამხანაგო წვრილი სესხის გამგეობას, რომელთაც გადმომცეს 4 მან. ამავე საქმისათვის.

გურჯაანის სამინისტრო სკოლის გამგე იოსებ მიხეილის ძე **ჯალიაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება დაგვრთოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ჩვენი და ჩვენი მოწაფების მხრით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ქ. ბათუმში მცხოვრებს მელანია ანტონის ასულს ქანტურიასა ჯგუშიას ასულს, რომელმაც რწმუნებულ ჩვენდამო ზუგდიდის ორ-კლასიანი სამრევლო სკოლას გამოუწერა ამ წლის ჟურნალი „ნაკადული".

სკოლის გამგე მღ. **გაბრიელ ჯიქია.** მასწავლებელი **ბაგრატ უგულავა.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ქ-ნ ქეთევან რაზმაძისას, რომელიც თანაგრძნობით მოეკიდა ჩემს ნივთიერ მდგომარეობის საკითხს და ორმოცი მანეთით დახმარება აღმომიჩინა უმაღლეს სწავლის გასაგრძელებლად.

ასეთივე მადლობით მივმართავ ყველა მას, ვინც თავიანთი წვლილით ხელი შეუწყეს პატივცემულ ქ-ნ ქეთ. რაზმაძისას აღნიშნულ ფულის შეგროვების დროს.

ბრიუსელი. **დ. კახრაძე.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ და თქვენი პატივცემული სახალხო გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ მღვდელს ა. გერსამიას და ბ-ნს ივანე ზაალის ძე საგინაშვილს, რადგანაც ქობულეთის უფასო საკითხველოს დახმარება გაუწიეს და შესწირეს საუცხოვო შინაარსის ქართული წიგნები—პირველმა ღირებული 5 მ. 75 კ. და მეორემ—8 მანეთის. ღმერთმან ქნას ისეთი გულშემატკივარი მრავალი ამოსჩენოდეს ძველთაგან ძველ მოძმეებს.

სამკითხველოს გამგეობის მინდობილობით გამგეობის წევრთაგანი **უჩუ ეფენდი კაკაბაძე (კაიკაც ოღლი).**

შემოწირულება

ქართველთა საზოგადოების გამგეობა ამასთან გიგზავნით ფოსტით ფულს ორმოც მანეთს (40 მან.), რომელსაც გთხოვს უმორჩილესად ეს ფულები მიიღოთ და დაჩქარებით გადასცეთ **დეპუტატად ნამყოფს ვიკ. ლომთათიძეს,** რომელიც არის ეხლა გადასახლებული ქ. ასტრახანში, და რომელიც იმყოფება, რუსის გაზეთების ცნობით, ძლიერ უკიდურ მდგომარეობაში როგორც ავადმყოფი და ღარიბი ადამიანი თავის ერთა შვილით. ეს ფული არის შემოწირული ხარბინის ქართველებისაგან და ამისთვის გთხოვთ მიღება და დანიშნულ პირისათვის ჩაბარება გვაცნობოთ.

თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
მდივანის მაგიერ **ს. ა. ქილიფთარი.**

ბ-ნო რედაქტორო, გიგზავნით 19 მან. 45 კ., **ი. ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდად** მოგროვილ ფულს აჭარის საზოგადოებაში (ლეჩხუმის მაზრა) გადასაცემად კუთვნილებისამებრ. შემოსწირეს: 3 მ., ესტატე ახვლედიანმა, 2 მ., მასწავლებელმა ც. ახვლედიანმა. თითო მანეთი: მამასახ. ს. ხვადაგიანმა, მღვდლებმა რ. გულბანმა, ვ. ბოკორიშვილმა, ა. ფრუიძემ და დ. ლეშვაშელმა. ათ-ათი შაური მღვდლებმა: გ. ბურჯალიანმა, დ. მახარობლიძემ და ე. გაბიანმა, მასწავლებლებმა: ი. კაპანაძემ, ი. ხეცურიანმა, ვ. ხელაიამ და კ. ორაგველიძემ, მ. ალავიძემ, გ. ჩაჩხიანმა, გ. ფრუიძემ, ა. კეჭეყმაძემ და მ. კეჭეყმაძისამ. ორ ორი აბაზი: სამ. ფრუიძემ, ი. კახიძემ და ა. ხუციძემ, თითო აბაზი: ა. ახვლედიანმა, დ. ჰოხნოლიძემ, ანთ. ვაბასნიძემ, ნ. ბებერაშვილმა, ვ. ფრუიძემ, მელ. ალავიძემ და მინა დავითულიანმა. სამ-სამი შაური: ს. სვანიძემ, ყ. ჩიქოვანმა და დომ. სვანიძემ. ორ-ორი შაური: მ. მარდახიაშვილმა, ა. ჯანაძემ, ს. ალავიძემ და რ. ბოკორიშვილმა.

პატივისცემით **ანთ. კეჭეყმაძე.**

ადესაში შეგროვილი შემოწირულება ილია ჭავჭავაძისეულ სახლის გამოსასყიდად.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვრთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ ადესის ქართველობაში მოგროვილი ასი (100) მან. ილია ჭავჭავაძისეულ სახლის გამოსასყიდად. ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ დაჰბეჭდოთ შემომწირველთა სიაცა.

ექვსი მანეთი შემოსწირა: ძმ. ჭეიშვილებმა. ხუთ-ხუთი მანეთი — კოსტა კუპრეიშვილმა და მიხ. კირთაძემ. სამ-სამი მანეთი: ნ. ნანაძემ, ექ. ხეჩინიშვილმა. ორ-ორი მან.: გიორგ. ტატიშვილმა, ექ. ღოღობერიძემ, იას. მოსეშვილმა, გრ. გეგელაშვილმა, ს. ხეჩინიშვილმა. მანეთ-ნახევარი: შ. ავალიანმა, ნიკ. მასხულიამ. თითო მანეთი: ილ. კვაშალმა, ვას. სიფროშვილმა, ანდ. ვაჩნაძემ, ირ. ჩიქოვანმა, ივ. ყარანგოზიშვილმა, მიხ. ცეცხლაძემ, ვლ. ჟღენტმა, ანდრ. წერეთელმა, იას. წულაიამ, მიხ. რატიანმა, ნატ. ვაჩეიშვილის ქალმა, ზ. ჩიკვაიძემ, ანდრ. თუხარელმა, ვლად. ლორთქიფანიძემ, დათ. მეძმარეიშვილმა, რომ. მაჩაიძემ, გრ. ციციშვილმა, თამ. ჯავახიშვილმა, გრიგ. კანდელაკმა, ა. ალექსიძემ, ხ. ასლანიშვილმა. ათ-ათი შაური: ივ. კარბელაშვილმა, ქ. რაჭველიშვილმა, ვ. მეგენეიშვილმა, გ. კუპრაშვილმა, ზ. იშხნელმა, ალ. პაპავამ, კლ. ტყემალაძემ, ალ. კვალიაშვილმა, თამ. იშხნელმა, ს. იშხნელმა, პიმ. ნანეიშვილმა, თამ. იშხნელისამ, ს. საყვარელიძემ, გ. დოლაქიშვილმა, ამ. ჯიბლაძემ, ა. არდიშვილმა, ე. ზაქარაიამ, პ. ვეფხვაძემ, ხ. მიქელაძემ, ს. მესხმა, ვ. მახათაძემ, ირ. კლდიაშვილმა, გ. ურუშაძემ, ს. იაშვილმა, ალ. ცინცაძე, ივლ. აფხაიძემ. რ. ჯავახიშვილმა, კად. კახიანმა, მ. იშხნელმა, დ. მგელაძე, ბ. იმედაშვილმა, ვლ. ცაგარეიშვილმა, კ. ღიბრაძემ, ვ. ფურცელაძემ, გრ. ამაღლობელმა, არკ. არდიშვილმა, გ. ქიქინაძემ, ნ. ჯაფარიძემ, აპ. ანთაძემ, გ. გაჩეჩილაძემ, დ. ჩხოლარიამ. დავ. ჩეჩელაშვილმა, პ. შუშანიამ, ვლ. მდივანმა, ნიკ. ნემსაძემ, მ. დ. ა. კაკაბაძემ, პ. ჯაფარიძემ, დ. გაფრინდაშვილმა, გოგ. მასხულიამ, ელ. ასლანიშვილმა, გ. ფღლავამ, ნ. მიქელაძემ, ბ. წულუკიძემ, ად. ტიბილოვმა (ოსია), მ. ტყემალაძემ, კ. ბარნაბიშვილმა, ვ. ციცქიშვილმა, გ. რცხილაძემ, ი. გოგინაშვილმა, პ. ქავთარაძემ, ად. ჟუჟიაშვილმა, მათ. ემუხვარმა, ნ. ცანავამ, ს. ცანავამ, ივ. გიგინეიშვილმა, შ. ასლანიშვილმა, დ. ჩიქვაიძემ, პ. სარაჯიშვილმა, მანეთი შემოსწირა სოფ. ტატიშვილმა [illegible] ორი შაური აბეს. ღვინიფაძემ. № № შემოსწირა აბაზი, № სამი შაური, ხოლო ექვს-ექვსი შაური მ. გეგელაშვილმა, ელ. შურღაიამ, გ. ცაგარელმა. დანარჩენი ფულის შესახებ პატარა დამატებითი სია იქნება.

გაახლებთ-რა ამ ფულს, უნდა აღვნიშნო, რომ მადლობის ღირსია აბეს. ღვინიფაძე და მ. იშხნელი, რომელთაც ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს და შრომა არ დაიზარეს.

პატივისცემით **ქრ. რაჭველიშვილი.**

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მრდაის ფერი ბროლის საპონი.

ვინც რეგულიარულად ხმარობს ამ საპონს, მშვენიერი ფერი ეძლევა, კანი ნაზი, ვერდისებრ რბილი და ჩვილი ხდება. ნამდვილი მხოლოდ მე—„№ 4711".
ერთად-ერთი ფაბრიკა: ფერდ. მიულ გენსიხს.
ნიმუში 25 კ.
1020 პარფიუმერია კელნი, რიგა.
Метцль. 547912.

კალენდარი

თებერვალი 28 დღე, 1914 წ.
მთვარე 7 დღისაა, მზე ამოდის 6 საათ 36 წუთ.

18

(ახალი სტილით 3 მარტი)

სამშაბათი

მეორე დღე დიდ მარხვისა.

ქართველ. წმ. შორის მ. ლეონ რომთა პაპისა.

კათოლ. წმ. სამსონისა, მაქსიმესი და კონსტანციისა.

გულის სნეულებანი

გულის ქონი, გულის სკლეროზი, გულის ფრიალი, გულის ქოშინი, ნევრასტენია და ნერვიული სნეულებანი, სქესობრივი უძლურება, მოხუცებულობის სიჩანაკე, არაქათის დაკარგვა და სიგამხდრე ადვილად რჩება პელის სპერმინით, რასაც ამოწმებენ მწერლობაში არსებული მრავალი დაკვირვებანი მთელი ქვეყნის გამოჩენილ ექიმებისა.

პელის სპერმინი ერთად-ერთი ნამდვილი ნაცადი სპერმინია. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინი პელასი** და ხელი აიღოთ ყველა ყალბ მიმართულებაზე, როგორც ყოვლად უვარგის მიბაძულებაზე, რომელნიც არც შემადგენლობით, არც გავლენით პელას სპერმინთან საერთო არა აქვთ რა და ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნებელ შემადგენლობას შეიცავენ.

მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ წიგნი „სპერმინის სამკურნალო გავლენა". ხოლო ვისაც მთელი ორგანოტერაპია აინტერესებს 4 შვიდ კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ეგზავნებათ ეხლა ხან გამოსული წიგნი „ორგანიზმის სამკურნალო ძალანი".
სპერმინი პელასი ყველგან იშოვება.

პროფესორი ექიმი **პელ-ი** შვილებით
პეტერბურგი
მის იმპერატ. უდიდებულესობის სასახლის მოიჯარადრენი.

Метцль и К-о. 8699. 1914.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ,
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე,
გარდა კვირისა.
დილით:
„606" და „914"
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
ბ. გ. აგახართელი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. ბაბანახელი: 10—11 ს. საზვბიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ბ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. აგუტახიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. შ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საზვბიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. აგუტახიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
1001

ექიმი ზ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 საათ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

საჭიროა ქართველი ცოტა შეგნებული ქალი, ყმაწვილებისათვის ქართული ენის გასაკვეთად. შეიძლება ხნიერიც. მისამართი: ყარსი, ვოენსკი ნაჩალნიკი იოსებ ზურაბის ძე ოქროპირიძე. 106

ს. ა. გრიაზნოვი
სხვა მასწავლებლებთან ერთად
ამზადებს
გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის სასწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. უკვე შემდგარია ჯგუფი გიმნაზიის მე-6 და მე-7 კლასისთვის და კომერც. მე-6 კლას. მარიამობისთვის ეგზამენისათვის. იყვანს სრულ პანსიონზედაც. ვერა, იზმაილოვის შესახვ., ბელინსკ. ქუჩიდან № 3, მესამე სართული. 43

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე; საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე.
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

უფლებიანი სავაჭრო სკოლა უფლებიანი და
საბუღალტრო კურსები
იოანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა
გადავიდა ახალსა და უფრო ფართო შესაფერ ბინაზე,
მიხეილის ქუჩა, სახლი ჭავჭავაძისა № 36.
კურსებზე პირველ ჯგუფთან მეცადინეობა სწარმოებს ნაშუადღევის 3 საათიდან, მეორე ჯგუფთან—საღამოს 7 საათიდან. გამოცემული სახელმძღვანელოები მიწერ-მოწერით ბუღალტერიის შესასწავლად. 83

თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ძვეშ,
საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.

ტფილისი, სტამბა „შრომა" მუხრანის ქუჩა.